ნინო ბერაია | გიორგი კაციტაძე
თავისუფალი უნივერსიტეტი
Nbera23@freeuni.edu.ge | g.katsitadze@freeuni.edu.ge

ისლამური ფემინიზმის და ჰიჯაბის მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის გენდერულ დისკურსსა და პოლიტიკაში: ირანისა და საფრანგეთის შედარებითი ანალიზი

რეზიუმე

გენდერული დისკურსი ახლო აღმოსავლეთსა და მის დიასპორაში რთული და მრავალფეროვანი გახლავთ, სადაც ისლამური ფემინიზმი და ჰიჯაბის პრაქტიკა, ვფიქრობ, საკმაოდ კომპლექსური და მნიშვნელოვანი საკითხებია. ისლამური ფემინიზმი, რომელიც მე-20 საუკუნის ბოლოს გაჩნდა, ცდილობს გენდერული თანასწორობის მიღწევას ისლამის რელიგიური ჩარჩოების ხელახალი ინტერპრეტაციით, ხოლო ჰიჯაბი გარდაიქმნა სიმბოლოდ, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, განასახიერებს თავისუფლებას, იდენტობას, წინააღმდეგობას ან ჩაგვრას. ნაშრომში გადავწყვიტე ვფოკუსირდე საფრანგეთისა და ირანის მაგალითებზე, რადგან მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა - სეკულარიზმი საფრანგეთში და ისლამიზმი ირანში - სახელმწიფო პოლიტიკა ხშირად ზღუდავს მუსლიმი ქალების აგენტობასა და თვითგამოხატვას. შესაბამისად, ნაშრომის მთავარ კითხვას წარმოადგენს, თუ როგორ აყალიბებს სახელმწიფო იდეოლოგია გენდერულ ნორმებსა და ქალთა უფლებებს, განსაკუთრებით ჰიჯაბის პოლიტიზაციისა და ისლამური ფემინიზმის გავლენის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: ისლამური ფემინიზმი, ჰიჯაბი, გენდერული დისკურსი, ქალთა აგენტობა, სეკულარიზმი, ისლამიზმი, სახელმწიფო იდეოლოგია, გენდერული პოლიტიკა.

ისლამური ფემინიზმის აღმოცენება

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში დაიწყო მოძრაობა, რომელიც ქალებს სთავაზობდა გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლის ახალ გზას ისლამის რელიგიური ტექსტების, განსაკუთრებით ყურანის, ხელახალი ინტერპრეტაციის მეშვეობით. ეს მიდგომა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ისლამის თავდაპირველი ხედვა სქესთა თანასწორობას ითვალისწინებდა, მაგრამ მოგვიანებით, პატრიარქალურმა ინტერპრეტაციებმა ეს ხედვა დაამახინჯა. ისლამის ადრეული პერიოდის ეთიკა ადამიანთა თანასწორობას ეფუძნებოდა, თუმცა ძალაუფლებაში მყოფმა მამაკაცებმა თანდათან შექმნეს სისტემა, რომელიც ქალებს „აქვეითებდა“.

ამ მოძრაობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ქალებს ხელს უწყობს, გამოიყენონ რელიგიური ტექსტები საკუთარი უფლებების დასაცავად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საზოგადოებებში, სადაც ისლამი კულტურულ და პოლიტიკურ იდენტობას განსაზღვრავს. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, ქალებმა თავიანთი ბრძოლა ისლამის ჩარჩოებში განახორციელონ, რაც მათ თავისუფლებას ანიჭებს პატრიარქალური სტრუქტურების წინააღმდეგ. ის ასევე პასუხობს დასავლური ფემინიზმის კრიტიკას, რომელიც ხშირად აღიქმება, როგორც კოლონიური გავლენის გამოვლინება, და ამით გენდერული თანასწორობის განსხვავებულ, ადგილობრივ/ლოკალურ ხედვას გვთავაზობს (Winter 2006: 285).

მაგალითად, იემენში ქალებმა, ყურანის ხელახალი შესწავლით, აღმოაჩინეს, რომ მათი უფლებები, როგორც მუსლიმი ქალების, გაცილებით ფართოა, ვიდრე ის, რასაც მათი საზოგადოების ტრადიციული ნორმები ითვალისწინებს. ეს პროცესი საშუალებას აძლევს ქალებს, გააცნობიერონ თავიანთი პოტენციალი და გამოწვევა გაუწიონ სოციალურ შეზღუდვებს. თუმცა, ამ მიდგომას თან ახლავს სირთულეებიც. ზოგი თვლის, რომ ფოკუსირება მხოლოდ რელიგიურ ტექსტებზე ზღუდავს პატრიარქატის სრულყოფილ ანალიზს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ რელიგიას, არამედ სახელმწიფოს, კლასს, კულტურასა და სხვა სოციალურ ფაქტორებს. სხვები მიიჩნევენ, რომ ეს მოძრაობა ზოგჯერ რელიგიური ფუნდამენტალისტური ჯგუფების მიერაა მითვისებული, რაც მის პოლიტიკურ ეფექტურობას (ობიექტურობასაც) ამცირებს. მიუხედავად ამისა, ის ქალებს სთავაზობს უნიკალურ გზას, გამოხატონ თავიანთი ხმა ისლამის ფარგლებში.

ისლამური ფემინიზმი, თავის მხრივ, ხშირად ხვდება სახელმწიფოს ჩარევის ქვეშ. მაგალითად, თუნისში, 1956 წლის საოჯახო კანონის რეფორმები, რომლებიც აძლიერებდა ქალთა უფლებებს, მიზნად ისახავდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ტომობრივი პატრიარქალური სტრუქტურების წინააღმდეგ, თუმცა ეს რეფორმები ზევიდან იყო დაწესებული, ორგანიზებული ფემინისტური მოძრაობის გარეშე. ამის საპირისპიროდ, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა მაროკო და ალჟირი, სადაც სახელმწიფო ეყრდნობოდა ტომობრივ და ნათესაურ ქსელებს, საოჯახო კანონმდებლობა უფრო კონსერვატიული დარჩა, რაც ზღუდავდა ისლამური ფემინიზმის განვითარებას. ეს მაგალითები ცხადყოფს, თუ როგორ განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ქალთა აგენტობისა და რელიგიური ინტერპრეტაციების საზღვრებს.

ჰიჯაბის მრავალფეროვანი მნიშვნელობა

ჰიჯაბი, როგორც გენდერული დისკურსის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სიმბოლო, ახლო აღმოსავლეთში სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. ის არა მხოლოდ ისლამის, არამედ სხვა კულტურებისა და ისტორიული პერიოდების ნაწილია, რაც უარყოფს მოსაზრებას, თითქოს ის მხოლოდ მუსლიმ ქალებთანაა დაკავშირებული. საინტერესოა, რომ ისტორიულად, ჰიჯაბი სხვადასხვა საზოგადოებაში, მათ შორის ბერძნულ, რომაულ, ებრაულ და ასურულ კულტურებში, სოციალური სტატუსის მარკერად გამოიყენებოდა. ისლამის ადრეულ პერიოდში, VII საუკუნეში, ჰიჯაბს ძირითადად მხოლოდ წინასწარმეტყველის ცოლები ატარებდნენ, როგორც მათი განსაკუთრებული სტატუსის ნიშანს. მხოლოდ IX საუკუნეში გაჩნდა მკაცრი ინტერპრეტაციები, რომლებიც ყველა ქალისთვის ჰიჯაბის ტარებას ითხოვდა, რაც იმ დროის გენდერული სტრატიფიკაციის გამოვლინება უფრო იყო.

სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში გადამწყვეტ როლს თამაშობს გენდერული ნორმებისა და ქალთა უფლებების განსაზღვრაში, ის ხშირად იყენებს ისლამურ ფემინიზმსა და ჰიჯაბს ეროვნული იდენტობისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციისთვის. პოსტკოლონიურ ეპოქაში, როდესაც სახელმწიფოები ცდილობდნენ თავიანთი ძალაუფლების კონსოლიდაციას, ქალთა როლი გახდა სიმბოლური იარაღი ერის „აღდგენის“ ან „მოდერნიზაციის“ პროცესში. მაგალითად, თურქეთში, ქემალისტურმა რეფორმებმა 1920-იან წლებში ხელი შეუწყო ჰიჯაბის მოხსნას, როგორც სეკულარული თანამედროვეობის ნიშანს, რაც ასახავდა სახელმწიფოს მცდელობას, განესხვავებინა თავი ოსმალური წარსულისგან. ამის საპირისპიროდ, ირანის 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ჰიჯაბის სავალდებულო ტარება გახდა ისლამური უმმის (თემის) იდეის განსახიერება, სადაც ქალი, როგორც „ერის დედა“, განისაზღვრა მამაკაცის „დამცველის“ როლის ფონზე (Hoel and Shaikh 2007: 118). ეს გადაწყვეტილებები ასახავს, თუ როგორ იყენებენ სახელმწიფოები გენდერულ პოლიტიკას თავიანთი იდეოლოგიური პროექტების განსახორციელებლად, ხშირად ქალთა ინტერესების უგულებელყოფით.

XX საუკუნის ანტიკოლონიური ბრძოლების დროს ჰიჯაბმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიმბოლიზმი შეიძინა. თურქეთსა და თუნისში ქალებმა საჯაროდ მოიხსნეს ჰიჯაბი, რათა გამოეხატათ ეროვნული წინააღმდეგობა კოლონიური ძალების მიმართ, რაც ასოცირდებოდა თანამედროვეობასა და განთავისუფლებასთან. თუმცა, ეს აქტი ხშირად ემსახურებოდა ნაციონალისტურ მიზნებს, ვიდრე ქალთა ავტონომიის გაძლიერებას. მაგალითად, თუნისში 1929 წელს ჰაბიბა ალ-მანსარის მიერ ჰიჯაბის მოხსნა იყო ნაწილი ნაციონალისტური მოწოდებისა, რომელიც მიზნად ისახავდა კოლონიური ორიენტალისტური სტერეოტიპების უარყოფას, თუმცა ეს არ ნიშნავდა გენდერული თანასწორობის სრულ მიღწევას.

1970-80-იან წლებში, ისლამური მოძრაობების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებით ირანის რევოლუციის შემდეგ, ჰიჯაბის ნებაყოფლობითი ტარება გახდა დასავლური გავლენისა და მატერიალისტური კულტურის წინააღმდეგობის სიმბოლო. ეს არ იყო ტრადიციის „აღორძინება“, არამედ თანამედროვე პოლიტიკური განცხადება, რომელიც ასახავდა ქალთა აქტიურ ჩართულობას ისლამური იდენტობის განსაზღვრაში. თუმცა, ისლამური ფემინიზმის მცდელობა, გამოეყენებინა ჰიჯაბი, როგორც თავისუფლების გამოხატვა, ხშირად ხვდებოდა პოლიტიკური ძალების მანიპულაციის ქვეშ, როგორც ეს მოხდა თურქეთში, სადაც ისლამისტური ჯგუფები იყენებდნენ ჰიჯაბის თავისუფლების დაცვას ადამიანის უფლებების რიტორიკით, მაგრამ ამავე დროს უარყოფდნენ დემოკრატიულ ღირებულებებს.

ამრიგად, ჰიჯაბის მნიშვნელობა მრავალფეროვანია. ზოგისთვის ის თავისუფლებისა და თვითგამოხატვის საშუალებაა, რომელიც ცხადია არ გამორიცხავს თანამედროვეობას და ღირებულებების პატივისცემასაც გამოხატავს. სხვებისთვის ის იარაღია, ერთდროულად გამოხატონ პროტესტი გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ და მოერგონ სოციალურ ნორმებს, მაგალითად, საჯარო სივრცეში მუშაობის უფლების დაცვისას. თუმცა, ზოგისთვის ჰიჯაბი ჩაგვრის სიმბოლოდ რჩება, რადგან ის ქალებს განსხვავებულ, ხშირად „ქვეშევრდომ“ კატეგორიად აქცევს, მათი სხეულების „დაფარვის“ მეშვეობით. ყველაფრის მიუხედავად, ცალსახაა ჰიჯაბის საკითხის აქტუალურობა ამ რეგიუნში მიმდინარე პოლიკურ პროცესებში .

ისლამური ფემინიზმისა და ჰიჯაბის ურთიერთკავშირი

ისლამური ფემინიზმი და ჰიჯაბის „პრობლემა“ მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რადგან ორივე ქალთა აგენტობის გამოხატვის საშუალებაა ისლამის ჩარჩოებში. ისლამური ფემინიზმი რელიგიური ტექსტების გადააზრებისთვიისაა საჭირო, ხოლო ჰიჯაბი ხშირად გამოიყენება, როგორც სიმბოლო, რომელიც ამ ხედვას ასახავს. მაგალითად, თურქეთში ქალებმა, რომლებიც ისლამურ პარტიებში მონაწილეობდნენ, ჰიჯაბი გამოიყენეს, როგორც მორალური ღირებულებებისა და ისლამური იდენტობის მხარდაჭერის ნიშანი, თუმცა უარყვეს ისეთი პრაქტიკები, როგორიცაა პოლიგამია. ანალოგიურად, ეგვიპტეში, გარკვეულ რელიგიურ მოძრაობებში, ქალები ჰიჯაბის ტარებით აქტიურად აყალიბებდნენ თავიანთ ცხოვრებას, რაც მათი რწმენის გამოხატულება იყო, და ამით უარყოფდნენ მოსაზრებას, თითქოს ისინი უბრალოდ პატრიარქალურ ნორმებს ემორჩილებოდნენ.

თუმცა, ჰიჯაბის ნებაყოფლობითი ტარება ყოველთვის არ ნიშნავს „განთავისუფლებას”. თურქეთში ზოგი ისლამური ჯგუფი ჰიჯაბის თავისუფლებას იცავს ადამიანის უფლებების არგუმენტებით, მაგრამ ამავე დროს უარყოფს თანამედროვე დემოკრატიის ზოგიერთ ღირებულებას. სხვები მიიჩნევენ, რომ ჰიჯაბი ქალებს მხოლოდ ე.წ. „ჰიჯაბიანების“ იდენტობაში აქცევს, რაც ზღუდავს მათ თვითგამოხატვის სხვა ფორმებს. ეს წინააღმდეგობები აჩვენებს, რომ ჰიჯაბის მნიშვნელობა დამოკიდებულია კონტექსტზე: ზოგისთვის ის თავისუფლების გამოხატვაა, ზოგისთვის – სოციალური ზეწოლის ან შეზღუდვის ნიშანი.

გავლენა გენდერულ დისკურსზე და გლობალური გეოპოლიტიკა

განხილული საკითხები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთის გენდერულ დისკურსზე, რადგან ისინი უარყოფენ სტერეოტიპს, რომ მუსლიმი ქალები პასიურნი და ჩაგრულნი არიან (Charrad 2011: 223). ზოგადად, ორივე ფენომენი მნიშვნელოვანია და თითოეულს აქვს დადებითი დატვირთვა, თუმცა ცხადია, რომ ისინი გამოწვევების წინაშე დგანან. ისლამური ფემინიზმის ფოკუსირება რელიგიურ ტექსტებზე ზოგჯერ ზღუდავს მის უნარს, განიხილოს გენდერული უთანასწორობის სხვა მიზეზები, როგორიცაა ეკონომიკური ან პოლიტიკური ფაქტორები. ჰიჯაბის შემთხვევაში, მისი მნიშვნელობა იცვლება: ზოგისთვის ის თავისუფლების გამოხატვაა, ზოგისთვის - სოციალური ზეწოლის შედეგი. ჰიჯაბის მრავალფეროვანი ფორმები(დაწყებული სრული დაფარვიდან, როგორიცაა ბურკა, დასრულებული ფერადი სარტყლელით, რომელიც თავისუფლად ეხვევა თავს) აჩვენებს, რომ მისი მნიშვნელობა ერთი განმარტებით ვერ განისაზღვრება. თითოეული ჰიჯაბის უკან განსხვავებული ისტორია დგას, რომელიც ინდივიდუალური არჩევანის, სოციალური ნორმებისა თუ პოლიტიკური გარემოებების გამოვლინებაა.

გლობალური გეოპოლიტიკა ასევე აყალიბებს ისლამური ფემინიზმისა და ჰიჯაბის პოლიტიკურ მნიშვნელობას. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, დასავლური დისკურსი ხშირად წარმოაჩენს მუსლიმ ქალებს, როგორც „ჩაგრულებს“, რაც ემსახურება სამხედრო ინტერვენციების (მაგ., ერაყში, ავღანეთში) გამართლებას. ეს ორიენტალისტური სტერეოტიპები, რომლებიც ისლამს ერთგვაროვან ჩაგვრის წყაროდ ხედავენ, ართულებს ისლამური ფემინიზმის მცდელობებს, განსაზღვროს საკუთარი დღის წესრიგი. მაგალითად, ისლამური ფემინიზმის მხარდამჭერები, რომლებიც ყურანის თანასწორობის იდეებს ეყრდნობიან, ხშირად აღმოჩნდებიან ორ ცეცხლს შუა: მათ ეჭვის თვალით უყურებენ, როგორც „დასავლური“ იდეების მატარებლებს, ან უარყოფენ, როგორც ისლამის „ფუნდამენტალისტურ“ ინტერპრეტაციას. ჰიჯაბის შემთხვევაში, მისი აკრძალვა (მაგ., თურქეთის საჯარო სივრცეებში) ან სავალდებულო ტარება (მაგ. ირანში) ხშირად ემსახურება გეოპოლიტიკური იდენტობის განსაზღვრას, ვიდრე ქალთა თავისუფლებას.

საფრანგეთი: Laïcité, ქსენოფობია და ჰიჯაბის აკრძალვა

საფრანგეთში, სადაც ისლამი უმცირესობის რელიგიაა, ჰიჯაბი გახდა „დასავლეთისა“ და „ისლამის“ საზღვრის მარკერი, განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, როდესაც მუსლიმი ქალების „ჩაგვრის“ სტერეოტიპმა ფართო გავრცელება ჰპოვა. 2004 წლის 10 თებერვლის კანონმა, რომელმაც აკრძალა „თვალსაჩინო“ რელიგიური სიმბოლოები (ჰიჯაბის ჩათვლით) საჯარო სკოლებში, ეფუძნებოდა laïcité-ს, საფრანგეთის სეკულარულ პრინციპს, რომელიც ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას ითვალისწინებს. თუმცა, laïcité-ს ინტერპრეტაცია ორაზროვანია: ზოგისთვის ის ნეიტრალურობას ნიშნავს, ზოგისთვის კი რელიგიის საჯარო სივრციდან განდევნას. ეს კანონი, რომელიც თითქოს თანაბრად ეხებოდა ყველა რელიგიურ სიმბოლოს (მაგ., ებრაულ კიპას ან ქრისტიანულ ჯვარს), სინამდვილეში მუსლიმ ქალებს განსაკუთრებით შეეხო, რადგან ჰიჯაბი ყველაზე ხილული სიმბოლოა.

ჰიჯაბის აკრძალვა ხშირად განიხილებოდა, როგორც მუსლიმი ქალების „განთავისუფლების“ მცდელობა, თუმცა ის პარადოქსულად ზღუდავდა მათ აგენტობას. საფრანგეთის საჯარო დისკურსი, განსაკუთრებით პოლიტიკოსებისა და მედიის მხრიდან, ხშირად წარმოაჩენდა ჰიჯაბიან ქალებს, როგორც „ჩაგრულ“, „ხმაჩაწყვეტილ“ არსებებს, რომლებიც „ისლამური ფუნდამენტალიზმის“ მსხვერპლნი არიან. მაგალითად, პარლამენტის სპიკერმა, ჟან-ლუი დებრემ, ჰიჯაბის აკრძალვის მხარდაჭერისას განაცხადა, რომ საჯარო სკოლა „სწავლის ადგილია, და არა მილიტანტური აქტივობის

ან პროზელიტიზმის“. ეს განცხადება ჰიჯაბს „ისლამური ექსტრემიზმის“ სიმბოლოდ აქცევდა, რაც ქსენოფობიური დამოკიდებულებების გაძლიერებას უწყობდა ხელს.

აკრძალვის პროცესში მუსლიმი ქალების ხმები თითქმის არ ისმოდა. Stasi-ს კომისიამ, რომელიც laïcité-ს განხორციელებას იკვლევდა, მხოლოდ ერთ მუსლიმ ქალს, Saida Kada-ს, მოუსმინა, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ჩართვა „ფარსად“ იქცა. 2003-2004 წლებში პარიზის ქუჩებში გამართული მასშტაბური პროტესტები, სადაც ათასობით ადამიანი, მათ შორის მუსლიმი ქალები, ჰიჯაბის აკრძალვის წინააღმდეგ გამოვიდნენ, აჩვენებდა, რომ ჰიჯაბი ბევრისთვის თავისუფალი არჩევანისა და იდენტობის გამოხატვის საშუალებაა. პროტესტის ლოზუნგები, როგორიცაა „ჩემი ჰიჯაბი ჩემი ღირსებაა“ ან „საფრანგეთი ჩემი ქვეყანაა, ჰიჯაბი ჩემი ცხოვრებაა“, ხაზს უსვამდა ჰიჯაბის, როგორც ფრანგული და მუსლიმური იდენტობის შერწყმის სიმბოლოს.

აღსანიშნავია, რომ აკრძალვამ გამოიწვია საპირისპირო ეფექტი: ზოგიერთმა მუსლიმმა ქალმა ჰიჯაბის ტარება პროტესტის ნიშნად დაიწყო, რაც სეკულარული იდეოლოგიისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ დამოკიდებულების გამოხატულება იყო. მკვლევარები, როგორიცაა ინგერ პლესნერი, ვარაუდობენ, რომ აკრძალვამ გაზარდა სეგრეგაცია, რადგან ზოგიერთმა მუსლიმმა ოჯახმა კერძო ისლამურ სკოლებს მიმართა. ეს ცხადყოფს, რომ საფრანგეთის ინტეგრაციის პოლიტიკა, სინამდვილეში, ასიმილაციისკენ იყო მიმართული, რაც მუსლიმი ქალების თვითგამოხატვის თავისუფლებას ზღუდავდა. ისლამური ფემინიზმი საფრანგეთში, თუმცა ნაკლებად გავრცელებული, ხშირად ფოკუსირდება ჰიჯაბის, როგორც თავისუფალი არჩევანის დაცვაზე, რაც ეწინააღმდეგება სეკულარულ ნარატივს, რომელიც ჰიჯაბს ჩაგვრის სიმბოლოდ მიიჩნევს.

ირანი: ჰიჯაბი, როგორც ისლამური იდენტობისა და სახელმწიფო კონტროლის სიმბოლო

ნაშრომში უკვე ვახსენეთ, რომ ირანის 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ჰიჯაბი გახდა სავალდებულო, რაც სახელმწიფოს ისლამური იდეოლოგიის განსახიერებად იქცა. პრე-რევოლუციურ პერიოდში ჰიჯაბის მოხსნა „მოდერნიზაციის“ სიმბოლოდ ითვლებოდა, რაც დასავლური გავლენის („Gharbzadegi“ ანუ „დასავლეთის მოწამვლა“) ნაწილად აღიქმებოდა. 1937 წელს რეზა შაჰის მიერ გატარებული „ფარდის მოხსნის“ კამპანია, რომელიც ქალებს საჯარო სივრცეში ჰიჯაბის გარეშე გამოჩენას აიძულებდა, ხშირად განიხილებოდა, როგორც დასავლური იმპერიალიზმის გამოვლინება. ამის საპირისპიროდ, 1979 წლის რევოლუციის შემდეგ, ჰიჯაბის სავალდებულო ტარება ისლამური იდენტობისა და დასავლური გავლენის წინააღმდეგობის სიმბოლოდ უფრო გარდაიქმნა.

1980 წლის ივლისში დაწესებული კანონი, რომელიც ქალებს სხეულის (ხელებისა და სახის გარდა) სრულ დაფარვას აიძულებდა, მკაცრად აღსრულდებოდა „მორალის პოლიციის“ მიერ, რომელიც ხშირად ძალადობას მიმართავდა, მათ შორის, მჟავის გამოყენებას უჰიჯაბო ქალებზე. აიათოლა ხომეინიმ, რომელიც ამ პოლიტიკის მთავარი მხარდამჭერი იყო, განაცხადა, რომ ჰიჯაბის მოწინააღმდეგე ქალები „დასავლეთის მიერ მოწამლულნი“ იყვნენ. ეს პოლიტიკა ქალებს აგენტობას უზღუდავდა, რადგან ჰიჯაბის ტარება ნებაყოფლობითი არჩევანის ნაცვლად, სახელმწიფოს მიერ იძულებითი გახდა. თუმცა, ისლამური ფემინიზმის ზოგიერთმა მხარდამჭერმა, როგორიცაა ჟურნალ Zanan-ის ავტორები, ჰიჯაბს თვითგამოხატვისა და ისლამური იდენტობის გაძლიერების საშუალებად მიიჩნევდა, რაც მათ საშუალებას აძლევდა, აქტიურად ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგ., განათლებისა თუ პოლიტიკის სფეროებში.

ირანისა და ერაყის ომის (1980-1988) დროს ჰიჯაბმა დამატებითი სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. ჰიჯაბიანი ქალები წარმოჩინდნენ „ფატიმას“ იდეალის განსახიერებად, წინასწარმეტყველის

ქალიშვილად, რომელიც ოჯახის ერთგულებისა და ზნეობის სიმბოლოა. პოსტერები, რომლებიც ჰიჯაბიან ქალებს იარაღით ხელში ან ოჯახის მხარდაჭერის ჭრილში გამოსახავდნენ, ხელს უწყობდნენ ომის პროპაგანდასა და ისლამური ჯიჰადის იდეას. თუმცა, ქალებს ომში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ, რაც მათ „მარტვილობის“ იდეალისგან გამოთიშავდათ. ეს ხაზს უსვამს, მათი როლი სიმბოლური და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული გახლდათ.

ისლამური ფემინიზმი ირანში, მიუხედავად სახელმწიფოს შეზღუდვებისა, ცდილობდა ჰიჯაბის გადააზრებას, როგორც ქალთა აგენტობის გამოხატვის საშუალებას. მაგალითად, 1992 წლის განქორწინების შესწორებები, რომლებმაც ქალებს ქორწინების დროს შესრულებული საოჯახო სამუშაოსთვის ანაზღაურების უფლება მისცათ, ფაქტობრივად, ისლამური ფემინისტების აქტივიზმის შედეგი იყო. თუმცა, ჰიჯაბის სავალდებულო ტარება ხშირად ეწინააღმდეგებოდა ამ მცდელობებს, რადგან ის სახელმწიფოს მიერ იყო დაწესებული, და არ გახლდათ ქალების თავისუფალი არჩევანი.

საფრანგეთისა და ირანის იდეოლოგიური მსგავსებები და განსხვავებები

მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა - სეკულარიზმი საფრანგეთში და ისლამიზმი ირანში - ცხადი გახდა, რომ ორივე სახელმწიფო ჰიჯაბს იყენებს ქალთა სხეულებისა და იდენტობის გასაკონტროლებლად. საფრანგეთში ჰიჯაბის აკრძალვა laïcité-ს სახელით ხდებოდა, თუმცა ის ხშირად ქსენოფობიური დამოკიდებულებებით იყო გაჯერებული, რაც მუსლიმ ქალებს „სხვაობის“ სიმბოლოდ აქცევდა. ირანში ჰიჯაბის სავალდებულო ტარება ისლამური ზნეობისა და ეროვნული იდენტობის განსახიერებად წარმოჩინდებოდა, მაგრამ ისიც ქალთა აგენტობას ზღუდავდა. ორივე შემთხვევაში, სახელმწიფო პოლიტიკა მუსლიმ ქალებს ობიექტად აქცევდა, რომელთა სხეულები იდეოლოგიური მიზნებისთვის გამოიყენებოდა, ხოლო მათი ხმები იშვიათად ისმოდა.

საფრანგეთის სეკულარული დისკურსი ჰიჯაბს „ჩაგვრის“ სიმბოლოდ მიიჩნევს, ხოლო ირანის ისლამისტური დისკურსი კი - „ზნეობის“ განსახიერებად. თუმცა, ორივე მიდგომა მუსლიმ ქალებს ართმევს თავისუფალი არჩევანის უფლებას, იქნება ეს ჰიჯაბის ტარება თუ მისი მოხსნა. ისლამური ფემინიზმი ორივე კონტექსტში ცდილობს ამ ორობითი დიქოტომიის (ჩაგრული/თავისუფალი, ფარდიანი/ფარდის გარეშე) გადალახვას, ხაზს უსვამს, რომ ჰიჯაბი შეიძლება იყოს ქალის თავისუფალი არჩევანი, რომელიც არც სეკულარულ ფასეულობებს ეწინააღმდეგება (საფრანგეთში) და არც ისლამურ ზნეობას (ირანში).

თანამედროვე პროტესტის გავლენა

საყურადღებოა, რომ ირანში 2022 წელს წამოწყებული „ქალი, სიცოცხლე, თავისუფლება“ მოძრაობა, რომელიც მაჰსა ამინის გარდაცვალებამ გამოიწვია, ხაზს უსვამს ჰიჯაბის, როგორც სახელმწიფო ჩაგვრის სიმბოლოს, წინააღმდეგობის მნიშვნელობას. ქალებმა, რომლებმაც ჰიჯაბები დაწვეს და თმა შეიჭრეს, გამოხატეს პროტესტი არა მხოლოდ სავალდებულო ჰიჯაბის, არამედ სისტემური გენდერული შეზღუდვების მიმართ. ეს მოძრაობა ისლამური ფემინიზმის ფარგლებშიც განიხილება, რადგან ის ხელახლა განსაზღვრავს ქალთა აგენტობას ისლამურ კონტექსტში (Enderyari 2024).

საფრანგეთში,როგორც უკვე არვნიშნეთ ,თუმცა ნაკლებად მასშტაბური, მსგავსი პროტესტები 2003-2004 წლებში ჰიჯაბის აკრძალვის წინააღმდეგ გაიმართა, სადაც ქალებმა ხაზი გაუსვეს ჰიჯაბის, როგორც თავისუფალი არჩევანის, მნიშვნელობას. ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ მუსლიმი ქალები, მიუხედავად სახელმწიფოს შეზღუდვებისა, აქტიურად იბრძვიან თავიანთი იდენტობისა და უფლებებისთვის.

დასკვნა

ამრიგად, ისლამური ფემინიზმი და ჰიჯაბი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენდერულ დისკურსსა და პოლიტიკაში, განსაკუთრებით საფრანგეთსა და ირანში, სადაც სახელმწიფო იდეოლოგიები(სეკულარიზმი და ისლამიზმი) განსაზღვრავს ქალთა თვითგამოხატვის საზღვრებს. საფრანგეთის ჰიჯაბის აკრძალვა, რომელიც laïcité-ს სახელით ხორციელდება, და ირანის სავალდებულო ჰიჯაბის პოლიტიკა, რომელიც ისლამურ ზნეობას ეფუძნება, ორივე ზღუდავს მუსლიმი ქალების აგენტობას, მათ სხეულებს იდეოლოგიური მიზნებისთვის იყენებს. ისლამური ფემინიზმი, თავის მხრივ, გთავაზობთ გზას, რომლითაც ქალები გამოწვევას უწევენ ამ შეზღუდვებს, ხელახლა განსაზღვრავენ ჰიჯაბის მნიშვნელობას, როგორც თავისუფალი არჩევანისა და იდენტობის გამოხატვის საშუალებას. ეს ფენომენები ცხადყოფს, რომ გენდერული დისკურსი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ღრმად პოლიტიკურია, რაც ისევ და ისევ ახლო აღმოსავლეთისა და მისი დიასპორის სოციალურ-პოლიტიკურ კომპლექსურობას უსვამს ხაზს.